საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბებნისი

ბებნისი, სოფელი ქარელის მუნიციპალიტეტში (შიდა ქართლის რეგიონი), დოღლაურის ვაკეზე (შიდა ქართლის ვაკის დას. ნაწილი), მდ. მტკვრის მარცხ. ნაპირას. თემის ცენტრი (სოფლები: ბ., აფნისი, ლეთეთი). ზ. დ. 640 მ, ქარელიდან 2 კმ. 1,3 ათ. მცხ. (2014).

ბ. პირველად მოხსენიებულია 1609 საბუთში. ვახუშტი ბატონიშვილი (XVIII ს.) მას დიდი ლიახვით მორწყულ სოფელთა სიაში ათავსებს. 1865 ბ. თავისი 34 კომლით სურამის უბნის რუისის სასოფლო თემში შედიოდა. ბ-ის დას-ით 3 კმ-ზე ძვ. ნასოფლარი და სამაროვანია.

ჯ. გვასალია